



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაერთთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL  
CENTRE OF MANUSCRIPTS

ენრიკო გაბიძაშვილი

90

Enriko Gabidzashvili

თბილისი • TBILISI

2021

რედაქტორი

**ნინო მელიქიშვილი**

საგამომცემლო-სარედაქციო ჯგუფი

**ნიკოლოზ ალექსიძე  
ლანა გრძელიშვილი  
სოფიკო მენტეშაშვილი  
ვლადიმერ პერანიძე  
თამთა ჯანაშია**

Editor

**Nino Melikishvili**

Editing and publishing team

**Nikoloz Aleksidze  
Lana Grdzelishvili  
Sophiko Menteshashvili  
Vladimer Peranidze  
Tamta Janashia**

ISBN 978-9941-9730-6-2

© კორნელი კეკელიძის სახელობის  
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2021

## შინაარსი

ექვთიმე კოჭლაგაზაშვილი ენრიკო გაბიაშვილი – 90 .....	11
ზაზა აბაშიძე / ZAZA ABASHIDZE დავით IV აღმაშენებელი და ეკლესია / David IV the Builder and the Church.....	43
ცისანა აბულაძე / TSISANA ABULADZE ქრისტიანთა გამაჰმადიანების ერთი ოსმალური წესი ქართველების მაგალითზე / Ottoman Rule of Conversion of Christians to Islam on the Example of Georgians.....	61
ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი / ZAZA ALEKSIDZE, DALI CHITUNASHVILI ბიბლიოთეკები და წიგნების რეპერტუარი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში / Libraries and Book Repertoires in Early Medieval Georgia .....	75
თამაზ გოგოლაძე / TAMAZ GOGOLADZE ახალი ეპიგრაფიკული მასალები ქვემო ქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII-XVIII საუკუნეები) / New Epigraphic Material for the History of Kvemo Kartli Principality (17-18 <sup>th</sup> cc).....	88
ეკა დუღაშვილი / EKA DUGHASHVILI ეფთვიმე ათონელისადმი მიძღვნილი ბერძნული ჰიმნოგრაფიული კანონი / Greek Hymnographic Canon dedicated to Euthymios the Hagiorite.....	116
მაია კარანაძე / MAIA KARANADZE ყდის ხელობასთან დაკავშირებული ანდერძები ტაოკლარჯული წარმომავლობის ხელნაწერებში / The colophons related to the art of book cover in the manuscripts of Tao-Klarjeti .....	130
ზურაბ კიკნაძე / ZURAB KIKNADZE საკრალურისა და პროფანულის სემანტიკისთვის / On the Semantics of the Sacred and the Profane.....	137
მაია მაჭავარიანი / MAIA MATCHAVARIANI მასალები წმინდანთა ხსენებების კალენდრების ისტორიისათვის / Materials for the History of the Calendars of the Saints' Feast Days .....	150

<b>ნინო მელიქიშვილი / NINO MELIKISHVILI</b>	
რამდენიმე ტერმინის შესახებ წმ. იოანე დამასკელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ჰომილიების ქართულ თარგმანებში / On Several Terms in the Georgian Translation St John of Damascus' Marian Homilies.....	184
<b>ნათია მიროტაძე / NATIA MIROTADZE</b>	
პირველი მეფეთას 6:7 – ტექსტოლოგიური სავარჯიშო / 1 Kingdoms 6:7 – Practicing Textology.....	202
<b>მელისა მორემტონი / MELISSA MORETON</b>	
უხილავის ხილვა: ანტიკური და შუა საუკუნეების ხელნაწერების მულტისპექტრული გადაღების ტექნოლოგია / The Vision of the Invisible: The Technology of Multispectral Imaging of Ancient and Medieval Manuscripts.....	230
<b>თამარ ოთხმეზური / THAMAR OTKHMEZURI</b>	
იოანე სინელის „კლემატის“ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში: ზოგადი მიმოხილვა / John of Sinai's The Ladder of Divine Ascent in the Georgian Literary Tradition.....	238
<b>ნუგზარ პაპუაშვილი / NUGZAR PAPUASHVILI</b>	
ორი მოულოდნელი ეპიზოდი „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“: სასწაული აკლდამაში და მწყემსი ბიჭისაგან შეწირული მსხვერპლი კლარჯეთში / Two Unusual Episodes from the Life of Gregory of Xanc't'a.....	255
<b>ნიკოლოზ ჟღენტაძე / NIKOLOZ ZHGHENTI</b>	
ტაოკლარჯული წარმომავლობის სიძველე მთის წმ. გიორგის მონასტრიდან – XI საუკუნის საკურთხეველისწინა ჯვრის უცნობი ფრაგმენტი იშხნიდან? / The Relic of A Tao-Klarjetian Origin from Mtis St. George's Monastery: Fragment of an Unknown 11 <sup>th</sup> -Century Pre-Altar Cross from Iṣxani? .....	274
<b>მაია რაფაშაძე / MAIA RAPAVA</b>	
ნიკიტა სტითათის ეპისტოლეების ქართული თარგმანების ბერძნულთან მიმართების შესახებ / On the Relation of the Georgian Translations with the Greek texts of Niketas Stethatos' Letters .....	287
<b>მზია სურგულაძე / MZIA SURGULADZE</b>	
„მატიანე ქართლისა“ და ბიზანტიური ისტორიოგრაფია. ინდივიდის როლი ისტორიულ მოვლენებში / Matiane K'art'lisha and Byzantine Historiography: The Role of an Individual in Historical Events .....	297
<b>ლავა ტყეპუჩავა / LASHA TKEBUCHAVA</b>	
ერთი კითხვა-მიგებითი თხზულების ექვთიმე ათონელისეული თარგმანი / Concerning a Translation of One 'Questions and Responses' Text By Euthymios the Hagiorite.....	305
<b>ლავა ტყეპუჩავა / LASHA TKEBUCHAVA</b>	
ევაგრე პონტოელის აპოფთეგმის ექვთიმე ათონელისეული თარგმანი / Euthymios the Hagiorite's translation of Evagrius Ponticus' Apophthegmata.....	320

**ბერნარ შტიე / BERNARD OUTTIER**

მაქსიმე აღმსარებლის ღვთისმშობლის ქების ერთი ძველი, უცნობი ფრაგმენტი /  
One old, unknown Fragment of the Life of the Virgin by Maximus the Confessor .....335

**ირაკლი ფაღავა / IRAKLI PAGHAVA**

ირაკლი II-ის 1765/6-1768/9 (ჰიჯრის 1179-1182) წლების სამონეტო რეფორმა /  
1765/6-1768/9 (AH 1179-1182) Monetary Reform of Irakli II, King of Kartl-K'akheti .....343

**ნანა ჩიკვატია / NANA CHIKVATIA**

არსენ ვაჩეს ძის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ (ანასტასი სინელის  
„წინამძღუარის“ თარგმანზე დართული სქოლიოების მიხედვით) /  
Concerning the Colophons of Anastasius Sinaita's Odegos.....371

**თემო ჯოჯუა / TEMO JOJUA**

მანდატურთუხუცეს სარგის II ჯაყელის მეუღლის – თამარ თორელისა და თამარის  
დედის – ხათუთა სურამელის ალაპი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარიდან  
(ჯაყელთა და თორელთა ფეოდალური სახლების XIII-XIV საუკუნეების ისტორიის  
ზოგიერთი საკითხის შესახებ) / The Commemorations from the Jvari Monastery  
Synaxarion of Khatuta Surameli, the Second Wife of Mandaturtukhutsesi Sergis II  
and the mother of Tamar Toreli and Nun Tamar (on the questions of 13<sup>th</sup>-14<sup>th</sup>  
century history of Jakeli and Toreli Feudal Houses).....395

**მაგდა მჭედლიძე / MAGDA MTCHEDLIDZE**

ჰექსამერონულ თხზულებათა ძველი ქართული თარგმანების მნიშვნელობა  
ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის / The Significance of the  
Old Georgian Translations of Hexaemeronic works for the Textual History of the  
Georgian Bible.....424

**ანა ხარანაული / ANNA KHARANAULI**

ბიბლიის კანონი და მასთან დაკავშირებული ტერმინები ქართულ ნათარგმნ  
და ორიგინალურ ტექსტებში / Biblical Canon and Canon-related Terminology  
in the Georgian Translated and Original Writings .....460

**სათუნა გაფრინდაშვილი, დალი ჩიტუნაშვილი, ირმა ხოსიტაშვილი /**

**KHATUNA GAPRINDASHVILI, DALI CHITUNASHVILI, IRMA KHOSITASHVILI**

ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (მატენადარანის ქართული ფრაგმენტების  
ფონდი) / Following to the Georgian Manuscripts:  
The Georgian Fragments Fund of the Matenadaran .....475

**ხათუნა გაფრინდაშვილი**

**დალი ჩიტუნაშვილი**

**ირმა ხოსიტაშვილი**

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს*

*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

## **ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (მატენადარანის ქართული ფრაგმენტების ფონდი)**

სომხეთის მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტის (მატენადარანის) ქართულ ხელნაწერთა კოლექციამ დიდი ხანია მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ამ კოლექციაში განსხვავებული მასალა შედის: ხელნაწერები, საცავი ფურცლები, ფრაგმენტების ფონდი და ორენოვანი დოკუმენტები. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა (მაშინ ხელნაწერთა ინსტიტუტმა) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში რამდენიმე მივლინება მოაწყო მატენადარანის ქართული მასალის შესასწავლად. არსებობს ამ კოლექციაზე მუშაობის შედეგების ამსახველი ქრისტიანე შარაშიძის მიერ გამოქვეყნებული ორი ნაშრომი (შარაშიძე 1986). ამ მასალაზე დაყრდნობით შექმნილი გამოუქვეყნებელი შრომები და გადმოწერილი ტექსტები ინახება ილია აბულაძისა და ლამარა ქაჯაიას პირად არქივებში<sup>1</sup>.

მატენადარანის ცალკეული ხელნაწერების, საცავი ფურცლებისა და ფრაგმენტების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა არცთუ ისე მცირეა (Mapp 1913: 389-398; მაჭავარიანი 1961: 141-154; ჭანკიევი 1975: 5-14; ცინდელიანი 1976; ცინდელიანი 1989: 38-50; Outtier 1975: 110-118; Outtier 1976: 110:118; Outtier 1977: 341-346; Outtier 2016 a: 337-356; Outtier 2016 b: 155-162; Gippert... 2009: 584-603), მაგრამ დღემდე გამოუქვეყნებელი რჩება ქართული ფონდის სრული აღწერილობა.

ეს ლაკუნა ნაწილობრივ შეივსო, როდესაც 2018 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევართა ჯგუფმა ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ნაშრომი „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ“, რომელშიც, სხვადასხვა საარქივო მასალისა და ცალკეულ სამეცნიერო პუბლიკაციათა საფუძველზე, შესაბამისი ლიტერატურის მითითებით, მატენადარანის ქართული მასალის კატალოგი შევიდა (ჩხიკვაძე... 2018).

<sup>1</sup> ილ. აბულაძის არქივი №354, 355, 357; ლ. ქაჯაიას არქივი დამუშავების პროცესშია.

2019 წელს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და მატენადარანს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, ფრანგ ორიენტალისტ ბერნარ უტიესთან ერთად, ქართული ხელნაწერების, საცავი ფურცლებისა და ფრაგმენტების სამენოვანი (ქართული, სომხური, ფრანგული) აღწერილობის მომზადების საქმეში ჩაერთვნენ.

პირველ ეტაპზე მატენადარანის ადმინისტრაციამ გადმოგვცა ქართული ფრაგმენტების ფონდი, რომელიც ჯამში 56 ერთეულს მოიცავს და ქრონოლოგიურად IX-XIX საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მასში შედის როგორც ეტრატზე, ისე ქაღალდზე ნაწერი ხელნაწერები. ტექსტებში გამოყენებულია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა – ასომთავრული: №6, 15, 20, 28, 29, 35, 36; ნუსხური: №1, 2, 4-14; 1-19; 21-27; 30, 32, 33, 37, 38, 40-42, 44-47; 49, 52-56; მხედრული: №3, 31, 34, 39, 43, 43, 50, 51.

ქართული ფრაგმენტების ფონდში 5 პალიმფსესტური ხელნაწერი გამოვლინდა. აქედან ოთხი ხელნაწერი (№4, 9, 13 (ქვედა ფენა ნუსხური), 37 (ქვედა ფენა ასომთავრული)) ქართულია, ერთი ფრაგმენტი კი (№11) – ქართულ-სომხური.

№37 პალიმფსესტური ხელნაწერის ზედა ფენაში ტექსტი XII-XIII საუკუნეების ნუსხურით არის შესრულებული და სადღესასწაულო კრებულს წარმოადგენს. პალიმფსესტის ქვედა ფენამ კი 43-ე და 44-ე ფსალმუნების ფრაგმენტები შემოგვინახა. ტექსტი ასომთავრულად, ფსალმუნისთვის დამახასიათებელი სტილით არის ნაწერი: ყოველი ახალი მუხლი საზედაო გრაფემით იწყება. პალეოგრაფიულად იგი IX საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

საყურადღებოა ასევე პალიმფსესტური ფრაგმენტი №4. ხელნაწერი 4-ფურცლიანია. მის ზედა ფენაში შემონახულია საგალობელი კრებულის ტექსტი, რომელიც პალეოგრაფიულად XIII საუკუნით თარიღდება. ეტრატზე ნაწერი ფრაგმენტის ქვედა ფენაში განირჩევა მსხვილი ასომთავრული გრაფიკით შესრულებული ცალკეული სიტყვები. ტექსტის ამოკითხვა, დიგიტალურ ვერსიაზე დაყრდნობით, ვერ ხერხდება.

მნიშვნელოვანია №9 და №13 პალიმფსესტური ფრაგმენტები, რომლებიც ქვედა ფენაში ნუსხური გრაფიკით ნაწერ ტექსტებს შეიცავს. სამწუხაროდ, ტექსტის ამოკითხვა და იდენტიფიკაცია ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

თითქმის გადარეცხილია ქართულ-სომხური პალიმფსესტიც (№11), რომლის ზედა ფენა ქართულია და დაწერილია XIV-XV საუკუნეების ნუსხურით, ქვედა ფენაში კი სომხური ერკათაგირით (ასომთავრულით) შესრულებული ტექსტი განირჩევა. სავარაუდოდ, ტექსტი ორ სვეტად იყო ნაწერი; შეინიშნება ასევე წითელი მელნით შესრულებული საზედაო გრაფემები. პალეოგრაფიულად პალიმფსესტი X საუკუნით შეიძლება დავათარილოთ.

ასომთავრული გრაფიკით შესრულებული ხელნაწერებიდან ყურადღებას გავამახვილებთ №6 ფრაგმენტზე, რომელიც ორი ნახევარი ფურცლით არის

შემონახული. ტექსტი ორ სვეტად, X საუკუნის ასომთავრულითაა ნაწერი. ხელნაწერი იოანე ოქროპირის ეპისტოლის („ეპისტოლე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, რომელი მიუწერა თეოდორეს მთავარსა, რომელი მონაზონობით კუალა იქცა სოფლადვე“) ნაწყვეტს წარმოადგენს და შეიძლება ითქვას, რომ მისი შემცველი ერთ-ერთი ადრეული ხელნაწერია<sup>2</sup>.

მატენადარანის ქართულ ფრაგმენტებს შორის გვხვდება ჰომილეტიკური ტიპის ტექსტიც. კერძოდ, ფრაგმენტ №20-ს შემოუნახავს ერთი ფურცელი იოანე ოქროპირის ჰომილიისა „მონამეთაჲს“ (შანიძე 1959: 256). ჰომილია დაწერილია ასომთავრულით, ორ სვეტად და რედაქციულად სინურ მრავალთავში დაცულ ტექსტს მიჰყვება. ხელნაწერი პალეოგრაფიულად X საუკუნით თარიღდება.

ასომთავრულითვეა შესრულებული №15 ფრაგმენტიც. ამ შემთხვევაშიც ჰომილეტიკურ თხზულებასთან გვაქვს საქმე, ჩვენს წინაშეა საკითხავი „შობისათჲს მაცხოვრისა და შობისათჲს იოვანწსისა“ (პარალელური ტექსტებისთვის იხ. ტბეთის და პარხლის მრავალთავეები). გრაფიკული მსგავსება და ფურცელზე ტექსტის ერთნაირი ორგანიზაცია გვაფიქრებინებს, რომ №15 და №20 ფრაგმენტები ერთი ხელნაწერის ნაწილები უნდა იყოს და ამ ორი ფრაგმენტით ჩვენ წინაშეა მრავალთავის კიდევ ერთი უცნობი ხელნაწერი.

№28 ფრაგმენტი, რომელმაც სულ 2 ფურცლით მოაღწია ჩვენამდე, კალიგრაფიული ასომთავრულით შესრულებულ ძველი აღთქმის ტექსტებს – დაბადების XII და XIII თავის მუხლებს (Gen.12:8-15; 12:18-13:3; 13:7-11; 13:14-14:1) შეიცავს. ფრაგმენტის ტექსტი გამოსცა ბერნარ უტიემ (Outtier 1977: 341-346).

წინარეათონური რედაქციის ოთხთავის ტექსტი შემოგვინახა №29 ფრაგმენტმა. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად, ლამაზი კალიგრაფიული ხელით. გამოყენებულია ყავისფერი და წითელი მელანი. ოთხთავის ტექსტს ერთვის ევთალეს სტიქომეტრია. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელნაწერს X საუკუნით ვათარილებთ.

წინარეათონური რედაქციის ოთხთავს შეიცავს ნუსხურით შესრულებული №12 ფრაგმენტიც, რომელმაც 4 ფურცლით მოაღწია ჩვენამდე. ხელნაწერში დაცულია იოანეს სახარების VI და VII თავის ფრაგმენტები. ხელნაწერი შესრულებულია ასომთავრულიდან ნუსხურზე გარდამავალი, დახვეწილი კალიგრაფიული ხელით. პალეოგრაფიულად იგი X საუკუნის ბოლოთი ან XI საუკუნის დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს.

<sup>2</sup> ე. წ. მამათა სწავლანის შემცველი 5 ხელნაწერიდან ასომთავრულით შესრულებულია 943 წელს გადაწერილი O/Sin.Geo-36 და Ivir.Geo-9, რომელიც 977 წელს არის გადაწერილი. სინური ხელნაწერი, სამწუხაროდ, ჩვენთვის საინტერესო ტექსტს არ შეიცავს, ათონურში კი იოანე ოქროპირის ეპისტოლე დასტურდება, თუმცა მატენადარანში დაცული ფრაგმენტი არც ამ ხელნაწერის ნაწილს წარმოადგენს (იხ.: აბულაძე: 107-128).

იერუსალიმური ლიტურგიკით დაინტერესებულ მკვლევართათვის საინტერესოა №35 და №36 ფრაგმენტებიც, რომლებიც ერთი ხელნაწერის, მეტიც, ერთი ფურცლის ნაწილებს წარმოადგენს. ფრაგმენტები ოთხთავის ე. წ. „საძიებელს“ შეიცავს და რედაქციულად ლექციონარის ტიპს განეკუთვნება. ტექსტი დაწერილია მსხვილი, მრგვლოვანი, კალიგრაფიული ასომთავრულით, ნითელი და ყავისფერი მეღვინით. ხელნაწერმა შემოგვინახა დიდი პარასკევის, დიდი შაბათის, აღვსების, ზატიკის პირველი კვირის (ორშაბათის, სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევის), ახალკვირიაკისა და ზატიკის მეორე ორშაბათის საკითხავთა საძიებელი (Garitte 1972: 357-361). რაც შეეხება თავად ოთხთავს, იგი წინარეათონური რედაქციის უნდა ყოფილიყო. კოდიკოლოგიური და პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, ფრაგმენტები X საუკუნით თარიღდება.

№48 ფრაგმენტმა იერუსალიმური ლექციონარის ერთი მცირე ნაწილი შემოგვინახა. ხელნაწერი შეიცავს დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის, მეოთხე ორშაბათისა და მეოთხე სამშაბათის საკითხავთა ფრაგმენტებს. ტექსტი რედაქციულად X საუკუნის ლექციონარებს განეკუთვნება (Outtier 2016 a: 237-256).

მატენადარანის ფრაგმენტებში ყურადღებას იპყრობს ერთი ხელნაწერის ნაწილები, რომლებიც დღეს სხვადასხვა ნომრადაა გატარებული. ვგულისხმობთ გიორგი მთაწმიდელის რედაქციის დიდი სვინაქსარის ნაწილებს, რომლებიც №2, 7, 10, 17, 22, 23, 25, 30, 53 ფრაგმენტებშია წარმოდგენილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფრაგმენტები ერთი ხელნაწერის ნაწილებია და დღეს სულ 14 ფურცლითა და 2 ნახევარი ფურცლით არის შემონახული. სვინაქსარის ტექსტი ნაწერია დახვეწილი კალიგრაფიული ნუსხურით და შეგვიძლია XI საუკუნის შუა წლებით დავათარილოთ. კალიგრაფია, ხელნაწერის კოდიკოლოგია (საზედაო გრაფემებისათვის გამოყენებული მწვანე მეღვინე – №25) და მის არშიებზე შემონახული გვიანდელი მინაწერები (მინაწერები პალეოგრაფიულად XVI საუკუნით შეიძლება დათარიღდეს), რომლებიც ათაბაგთა ოჯახის წევრებს ეკუთვნის (№2), გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერი სამხრეთ საქართველოში, სავარაუდოდ, ტაო-კლარჯეთში უნდა იყოს გადაწერილი. დღესდღეობით შემორჩენილ ფურცლებზე გვხვდება დიდი სვინაქსარის შემდეგი ნაწილები: სათვეო ნაწილიდან 24, 25, 27, 28 სექტემბრის, 4, 5, 25-28, 30, 31 (7) ოქტომბრის, 13 (10) მაისის, 17, 18 ივნისის, 17 ივლისის, 15-20 იანვრის წმინდანთა ხსენებები, ასევე, დისციპლინარული ნაწილის ფრაგმენტიც (№2).

როგორც აღვნიშნეთ, დიდი სვინაქსარის ერთ-ერთ ფრაგმენტს (№2) ახლავს XVI საუკუნის მინაწერი, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ორავჟანდა ათაბაგი და მისი ასული ქეთაონი. ორავჟანდა, როგორც სხვადასხვა წყაროდან

ირკვევა, ყვარყვარე III ათაბაგის შვილია, რომელიც მას მეორე ცოლისგან, დედისიმედისგან ჰყოლია (თაყაიშვილი 1951: 169).

„ათ(ა)ბ(ა)გისა ორ(ა)ვჟ(ა)ნდას შვილისა ქ(ე)თ(ა)ონისა შ(ე)უნ(დვნე)ს ლ(მერთმა)ნ, მის გ(ა)მდელს იაგუნდიძისა ქ(ა)ლისა მზ(ე)ქ(ა)ლყ(ო)ფ(ი)ლისა მ(ა)კინეს შ(ე)უნ(დვნე)ს ლ(მერთმა)ნ, მის დ(ე)და-მ(ა)მ(ა)თა შ(ე)უნ(დვნე)ს ლ(მერთ-მა)ნ“ (№2, 1v).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ №30 ფრაგმენტში ორი სხვადასხვა ხელნაწერის ნაწილია გაერთიანებული. ერთი, როგორც უკვე ვთქვით, გიორგი მთაწმიდელის რედაქციის დიდი სვინაქსარის ნაწილს წარმოადგენს (27, 28 სექტემბრის მასალა), მეორე კი XI საუკუნის ნუსხურით შესრულებულ მარკოზის სახარების ფრაგმენტს (მარკ. 13, 20-25; 13, 28-32) შეიცავს.

გიორგი მთაწმიდელის რედაქციის დიდი სვინაქსარის კიდევ ერთი ხელნაწერის ნაწილები გვხვდება №5 და №16 ფრაგმენტებში. ეს ხელნაწერი შედარებით გვიანდელია და პალეოგრაფიულად XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. სვინაქსარის ტექსტმა ჩვენამდე ერთი სრული ფურცლითა და ერთი ნახევარი ფურცლით მოაღწია. ფრაგმენტში დაცულია სვინაქსარის სათვეო ნაწილიდან 22 ივნისის, 13 და 14 ივლისის წმინდანთა ხსენებები. გარდა ამისა, №16 ფრაგმენტს ბოლოში ახლავს ხელნაწერის გვინდელი შემკაზმველის ანდერძი:

„ამისსა მკაზმავსა: ხუცე{სსა} ზოსიმე: და მისსა მეცხედრესა: ელისაბედ [შ(ე)უნდვ(ე)ნ] ორთავე ცოდ(ვა)ნი მათნი ა(მე)ნ ო(ვფალმა)ნ ლ(მერთმა)ნ“.

დიდი ხანია სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მატენადარანის ქართულ კოლექციაში დაცულმა, XIII საუკუნეში გადანერილმა ბიბლიის ფრაგმენტებმა (№8, №32). სხვადასხვა დროს ამ ხელნაწერებზე იმუშავეს მზექალა შანიძემ და ბერნარ უტიემ. ბოლო დროს კი ძველი აღთქმის ტექსტების შემცველი ამ ხელნაწერის შესახებ შემაჯამებელი კვლევა, მატენადარანში დაცული საცავი ფურცლების მონაცემების გათვალისწინებით, ნათია მიროტაძემ გამოაქვეყნა (მიროტაძე 2018: 211-222).

ძველი აღთქმის, კერძოდ, ესთერის ტექსტი შემოუნახავს №14 ფრაგმენტის ერთ ფურცელს. ფურცლის კიდეები ჩამოჭრილია; შემორჩენილია მხოლოდ მისი მცირე ნაწილი (3:13-15; 4:1). ხელნაწერი XIII საუკუნეში უნდა იყოს გადანერილი. ამავე პერიოდით თარიღდება მისი მეორე ფურცელი, რომელიც ღვთისმშობლის საგალობლის ნაწყვეტს წარმოადგენს.

რადგანაც ძველი აღთქმის ტექსტების შემცველ ფრაგმენტებზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე აღვნიშნავთ კიდევ რამდენიმე ფრაგმენტს (№38, №44), რომლებიც ამ ტიპის მასალას შეიცავს. სამნუხაროდ, ორივე ფრაგმენტი ძალზე დაზიანებულია – ხშირ შემთხვევაში ისინი ხელნაწერის ფურცლის ვიწროდ (დაახლოებით, 3-4 სმ-ის) გაჭრილ ზოლს წარმოადგენს და ტექსტის იდენტიფიკაცია რთულია. თუმცა, იმ ნაწილში, რომლის გადმოწერაც, სირთულის მიუხედავად, მაინც მოხერხდა, ტექსტი საგრძნობლად განსხვავდება ძველი

აღთქმის შემცველი სხვა ხელნაწერების ტექსტებისაგან. ფრაგმენტულობა და ზუსტებით არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, საქმე ძველი აღთქმის ხელნაწერთან გვაქვს თუ სადღესასწაულოს ტიპის ფრაგმენტებთან, რომლებშიც, ასევე, ხშირად გვხვდება გახსნილი საკითხავები ძველი აღთქმიდან.

ერთი ფურცლით წარმოდგენილი №56 ფრაგმენტი ნაწერია გრძელი, თავისებური ნუსხურით. ტექსტის შიგნით ზოგჯერ გამოყენებულია ასომთავრული გრაფიკაც, რაც გვაძლევს უფლებას, იგი პალეოგრაფიულად X საუკუნით დავათარილოთ. ხელნაწერი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მისი ერთი გვერდი სიტყვასიტყვით მიჰყვება იოანე სინელის „კლემაქსის“ ექვთიმე ათონელისეულ თარგმანს და შეიცავს ნაწყვეტს 24-ე თავიდან: „თქმული მისივე ნეტარისა იოანესი, დიაკრისისათჳს, რომელ არს გულისხმის-ყოფა და განკითხვა გულის სიტყუათა და ვნებათა და სათნოებათა“. უცნაურია, მაგრამ ამავე ფურცლის მეორე გვერდის ტექსტი ჩვენთვის ცნობილი „კლემაქსის“ არც ერთი ვერსიის წაკითხვას არ გვიჩვენებს და მისი იდენტიფიკაცია ჯერჯერობით ვერ ხერხდება. შესაძლოა, საქმე გვექონდეს იოანე სინელის „კლემაქსის“ განსხვავებულ ვერსიასთან.

მატენადარანის კოლექციაში გვხვდება სხვადასხვა ფორმის, შინაარსისა და დანიშნულების ლიტურგიკული ხელნაწერების ნაწილები. მათ შორის აღსანიშნავია XI საუკუნის წვრილი ნუსხურით გადაწერილი საგალობელი კრებულის ფრაგმენტები (№18 და №4 ფურცელი), რომლებიც შესრულებულია ე. წ. ანტიოქიური სკოლისათვის დამახასიათებელი კალიგრაფიით (მცირე ზომის, თხელი, ვერტიკალური გრაფემები).

„ძლისპირნი და ღვთისმშობლისანის“ ტექსტის შემცველია №24 და №41 ფრაგმენტები, რომელთაგან პირველი – XII საუკუნით, მეორე კი XVII საუკუნით თარიღდება. ამ უკანასკნელს შემოუნახავს ერთი ოდა მიქაელ მოდრეკილის იადგარიდან (გვახარია 1978: 26).

ფრაგმენტებს შორის გვხვდება გიორგი მთაწმიდელის „თვენიც“. ხელნაწერი №46 2-ფურცლიანია და მასში მოცემულია წმინდა საბინეს (16 მარტის) საგალობლები. ფრაგმენტი პალეოგრაფიულად XIII საუკუნით თარიღდება.

მატენადარანის კოლექციამ ადრეული ჰაგიოგრაფიული ძეგლის მხოლოდ ერთი ნაშთი შემოინახა. XI საუკუნის ნუსხურით შესრულებულ ფრაგმენტში (№33) წარმოდგენილია ევსებიოს პამფილიელის თხზულების – „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და სასწაულნი წმიდისა და ღმერთშემოსილისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისაჲ“ – ქართული თარგმანი, რომელიც დღემდე რამდენიმე ხელნაწერით იყო ცნობილი (გაბიძაშვილი 2004: 332). მათგან ყველაზე ადრეულეზია Jer. 5 (XI ს.) და A-90 (XII ს.) ხელნაწერები, თუმცა, ჩვენს ფრაგმენტში რედაქციულად სრულიად განსხვავებული ტექსტია დაცული – შეიძლება ითქვას, სრულიად სხვა თარგმანი.

მატენადარანის ქართულ ფრაგმენტთა კოლექციაში მხედრულად შეს-

რულებული ხელნაწერები (№3, №31, №34) და ისტორიული დოკუმენტებიც გვხვდება (№43, №50, №51), რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია №43 ფრაგმენტი. იგი ეტრატზეა შესრულებული და დოკუმენტის პირველ კეფს წარმოადგენს. სამწუხაროდ, მხოლოდ მისი დასაწყისი, ე. წ. შესავალი ფორმულაა შემორჩენილი. ხელნაწერი XIV-XV საუკუნეებით თარიღდება.

განხილული მასალის გარდა, კოლექციაში გვხვდება ფსალმუნების, ტიპიკონების, ლოცვანების, ავგაროზისა და იგავ-არაკთა კრებულის ფრაგმენტებიც კი, რომელთა დეტალურ აღწერილობას, თანდართულ ტექსტებთან ერთად, დაინტერესებული მკითხველი უახლოეს მომავალში იხილავს.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

**აბულაძე 1955:** აბულაძე ი., მამათა სწავლანი, X და XI საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1955.

**გაბიძაშვილი 2004:** გაბიძაშვილი ე., ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბ., 2004.

**გვახარია 1978:** გვახარია ვ., მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, X საუკუნე, წიგნი II, თბ., 1978.

**თაყაიშვილი 1951:** თაყაიშვილი ე., ჩხარის ეკლესიის სიძველენი, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. 15B, 1951.

**მაჭავარიანი 1961:** მაჭავარიანი ე., ვანის ოთხთავის (A-1335) ახლად აღმოჩენილი პირი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 3, 1961.

**მიროტაძე 2018:** მიროტაძე ნ., „სადაურსა სად წაიყვან“: ბიბლიის XIII საუკუნის კოდექსი მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტების კოლექციაში, კრებ.: ელენე მეტრეველი 100, თბ., 2018.

**შანიძე 1959:** შანიძე ა., სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისთვის, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959.

**შარაშიძე 1986:** შარაშიძე ქრ., ერევანში მივლინების ანგარიში (1954 წ.), მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, XIII, თბ., 1986.

**ჩხიკვაძე... 2018:** ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, შეადგინეს მ. კარანაძემ, ვ. კეკელიამ, ლ. შათირიშვილმა და ნ. ჩხიკვაძემ, ნ. ჩხიკვაძის რედაქციით, თბ., 2018.

**ცინდელიანი 1976:** ცინდელიანი უ., ქართული ბიბლიის ეჩმიაძინის ფრაგმენტის იდენტიფიკაციისათვის, „მაცნე“. ელს, 2, 1976.

**ცინდელიანი 1989:** ცინდელიანი უ., „მეფეთა წიგნების“ ქართული ფრაგმენტები სომხეთის წიგნსაცავებში, მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, XV, 1989.

**ჭანკიევი 1975:** ჭანკიევი ც., ვანის, ლაბსყალდისა და ეჩმიაძინის ოთხთავთა მიმართებისათვის, მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, IV, თბ., 1975.

- Garitte 1972:** Garitte G., Un index géorgien des lectures évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem, Le Muséon, vol. 85, 1972.
- Gippert... 2009:** Gippert J., Outtier B., Fragments de l'Évangile de Luc dans le Matenadaran, ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბ., 2009.
- Outtier 1975:** Outtier B., Fragments onciaux du Lectionnaire géorgien, I, Fragments de Bzommar (Liban), "Bedi Kartlisa", 33, 1975.
- Outtier 1976:** Outtier B., Fragments onciaux du Lectionnaire géorgien, I, "Bedi Kartlisa", 34, 1976.
- Outtier 1977:** Outtier B., Un Fragment géorgie de la Gènesè en onciale, Le Muséon, 90, 1977.
- Outtier 2016 a:** Outtier B., Fragments onciaux inédits d'un Lectionnaire de Jérusalem, VII, dans: Sion, Mère des Églises Mélanges liturgiques offerts au Père Charles Renoux, éd. M. D. Findikyan-D. Galadza-A. Lossky, Münster, 2016.
- Outtier 2016 b:** Outtier B., Un fragment inconnu d'un poème de Grégoire de Nazianze, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, II, 2016.
- Март 1913:** Март Н., Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого завета, Христианский Восток. Год 2-й, т. II, вып. III, Спб., 1913.

*Khatuna Gaprindashvili, Dali Chitunashvili, Irma Khositashvili*

*Korneli Kekelidze Georgian National Centre Of Manuscripts*

## FOLLOWING TO THE GEORGIAN MANUSCRIPTS: THE GEORGIAN FRAGMENTS FUND OF THE MATENADARAN

### SUMMARY

The Georgian collection of the Mesrop Mashtots Institute of Ancient Manuscripts, the Matenadaran, brought to the attention of the scholarly communities long time ago.. The collection is diverse and includes manuscripts, cover folia, fragments and bilingual documents.

The Georgian fragment fund of the Matenadaran comprises 56 fragments in total, ranging from the ninth to the nineteenth centuries. All three types of the Georgian script, the *Asomtavruli*, *Nuskhuri* and *Mkhedruli* are used in these manuscripts. The fund also represents all genres of old Georgian ecclesiastical writings – bibliology, liturgical writing, hymnography, ascetic writing and hagiography.

The importance of the Georgian fragments is especially highlighted by the fact that in the collection there are recently-revealed five palimpsests. Four of these manuscripts,

Mss No 4, 9, 13 (lower layer in Nuskhuri) and 37 (lower layer in Asomtravruli) are Georgian, and only one (No 11) is Georgian-Armenian, which is yet another interesting example of the meeting of these two cultures.

The early 12<sup>th</sup> c folia of Great Synaxary is the subject of the particular interest for scholars, which have preserved important colophons regarding the history of south Georgia.

The fragment fund has also preserved fragments of the oldest Jerusalemite lectionary and of the pre-Athonite Georgian Four Gospels, also a single folio of a lost *Mravaltavi* collection.

We may consider as a unique sample of the collection the fragments which contain an unknown Georgian translation of the *Life of Pope Sylvester* by Eusebios Pamphili and a different translation of the *Ladder of Divine Ascent* of John Sinaites.